# საქართველოს ორგანული კანონი

## საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.01.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190020.04.001.016032) 48-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. უწყებათაშორისი კომისია საქართველოს პრეზიდენტის ან/და საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების შემთხვევაში იქმნება არჩევნების წლის 1 ივლისს, ხოლო საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე, შუალედური ან ხელახალი არჩევნების, საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე ან ხელახალი არჩევნების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების შემთხვევაში – არჩევნების დანიშვნიდან 3 დღის ვადაში.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $4^1$ პუნქტი:

„$4^1$. უწყებათაშორისი კომისია საქმიანობას წყვეტს ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი** **გიორგი მარგველაშვილი**

**ქუთაისი,**

**11 დეკემბერი 2013 წ.**

**N1698-Iს**